

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ინჟინერია/Oil and Gas Engineering
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში/Bachelor of Engineering in Oil and Gas/Petroleum Technology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ზურაბ მეგრელიშვილი, პროფესორი, ელ.ფოსტა: zurab.megrelishvili@bsu.edu.ge დავით ჩხაიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: davit.chkhaidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოამზადოს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ნავთობისა და გაზის ინჟინერიის სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება; ✓ მისცეს სტუდენტს განათლება ზუსტი, საბუნებისმეტყველო, ზოგად საინჟინრო და ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლებში; ✓ შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების, მარაგების გამოთვლის, ბურღვის, მოპოვების, შეკრება-მომზადება-ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიები, ასევე ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების მოწყობილობა-დანადგარები, რეზერვუარები, მილსადენები, შენობა-ნაგებობები; ხარისხის კონტროლი, ეკოლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საფუძვლები; ✓ მისცეს სტუდენტს პროფესიული განვითარებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის დაგეგმვის შესაძლებლობა.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს ნავთობისა და გაზის (შემდგომში ნ/გ) საბადოების ძებნა-ძიების, მარაგების შეფასების, ბურღვის, დამუშავების, ნ/გ შეკრება-მომზადება-ტრანსპორტირების, ნაგებობა-აღჭურვილობის, ნ/გ გადამუშავების თეორიებისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ნავთობქიმიის, გეოლოგიის, სითხეების მექანიკის, თეორიული მექანიკის, თბოტექნიკის, ელტექნიკის, მასალათა გამძლეობის და სხვა მეცნიერებების საფუძვლებს და ახდენს მათ გააზრებას;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ იაზრებს ნავთობისა და გაზის მარაგების გამოთვლა-მოპოვება-შეკრება-ტრანსპორტირება-ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს და მათ მნიშვნელობას ერთიან სისტემაში; ✓ აქვს ნავთობისა და გაზის ინჟინერიისათვის აუცილებელი წერითი, გრაფიკული და კომპიუტერული ტექნოლოგიების თეორიისა და მეთოდების (MathCAD, Matlab, AutoCAD, LIRA) ცოდნა; ✓ აცნობიერებს პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს; შრომის უსაფრთხოების როლს კატასტროფების რისკის შემცირებისათვის; ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას; ✓ წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ადგენს და ახორციელებს ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიების, ბურღვის, დამუშავების, შეკრება-მომზადება-ტრანსპორტირების, ნაგებობა-აღჭურვილობის, ნ/გ გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს და პროექტებს (საბურღი კოშკი, დაზგა-საქანელა, სატუმბი დანადგარი, სარკინგზო ესტაკადა, მილსადენები, რეზერვუარები და სხვ) ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ნავთობქიმიის, გეოლოგიის, სითხეების მექანიკის, თეორიული მექანიკის, თბოტექნიკის, ელტექნიკის, მასალათა გამძლეობის ძირითადი მეთოდების გამოყენებით; ✓ ახორციელებს ნავთობისა და გაზის მარაგების შეფასებას, მოპოვება-შეკრება-ტრანსპორტირების ოპერაციებსა და ნავთობტერმინალების ექსპლუატაციას სითხეების მექანიკის, თბოტექნიკის, ელტექნიკის, საინჟინრო მექანიკის, ნავთობქიმიის და სხვა მეთოდების გამოყენებით; ✓ შეუძლია თანამედროვე საინჟინრო პრაქტიკისათვის აუცილებელი მეთოდების (მათ შორის წერითი, გრაფიკული, კომუნიკაციური და სხვ.) ტექნიკისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება; ✓ ახდენს ნავთობისა და გაზის მარაგების გამოთვლის-მოპოვების-შეკრების-ტრანსპორტირების-გადამუშავების პროცესების კონტროლს ტექნიკური, ფუნქციური, ხარისხის, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით ✓ პროფესიული საქმიანობის პროცესში, ეთიკის მოთხოვნების, ეკოლოგიური და უსაფრთხოების პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ამყარებს კომუნიკაციას; ✓ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.
--	---